

**საწარმოო ინჟინერიის სპეციალისტი 040958**  
**პროფესიული სტანდარტი**

**I. სფეროს აღწერა**

ამ სფეროს სპეციალისტები სამეცნიერო, საინჟინრო და მათემატიკურ თეორიებს და პრინციპებს იყენებენ წარმოების მომზადებისა და რესურსული უზრუნველყოფის ტექნიკური პრობლემების გადასაწყვეტად, კვლევასა და განვითარებაში, წარმოებაში, ვაჭრობაში და მომსახურების სხვა სფეროებში. მათი საქმიანობის საერთო დანიშნულებაა პერსონალის, მასალების და აღჭურვილობის ეფექტიანი გამოყენება სასურველი ხარისხის პროდუქტის მინიმალური დანახარჯებით წარმოებისთვის. ამ მიზნით ისინი მონაწილეობენ ახალი ნაწარმის პროტოტიპების შექმნასა და გამოცდებში, გეგმავენ სამუშაო ნაკადებს და ამზადებენ წარმოებას, აგროვებენ და აანალიზებენ მწარმოებლობის ამსახველ სტატისტიკურ ინფორმაციას, ატარებენ საწარმოო პროცესების და ნაწარმის ხარისხის უზრუნველყოფელ ღონისძიებებს.

**II. დასაქმების სფერო**

ამ დარგის სპეციალისტთა დასაქმების ძირითადი ასპარეზია მრეწველობა, კერძოდ ექსპორტზე ორიენტირებული საამწყოზო წარმოება. თუმცა მათი კომპეტენცია იმდენად ფართოა, რომ წარმატებით დასაქმების შანსს იძლევა სერვისის სფეროშიც: ვაჭრობაში, ჯანდაცვაში, სასტუმრო მეურნეობაში, საგანმანათლებლო მომსახურებასა და გართობის ინდუსტრიაში, ყველგან, სადაც კი არსებობს მასალების და სხვა რესურსების ყაირათიანად შექმნის, მათი პროდუქტად ეფექტიანად გადაქცევის და მომხმარებლისთვის მაქსიმალური სარგებლიანობით მიწოდების ამოცანები.

**III. დამატებითი მოთხოვნები**

პრაქტიკის მასწავლებელს უნდა ჰქონდეს პროფესიით მუშაობის არანაკლებ 3 წლის გამოცდილება.

- პირველი საფეხურის პროგრამაზე დაშვების წინაპირობაა საბაზო განათლება;
- მეორე საფეხურის პროგრამაზე დაშვების წინაპირობაა პირველი საფეხურის კვალიფიკაციის ქონა;
- მესამე საფეხურის პროგრამაზე დაშვების წინაპირობაა მეორე საფეხურის კვალიფიკაციის ქონა;
- მეოთხე საფეხურის პროგრამაზე დაშვების წინაპირობაა მესამე საფეხურის კვალიფიკაციის ქონა;
- მეხუთე საფეხურის პროგრამაზე დაშვების წინაპირობაა მეოთხე საფეხურის კვალიფიკაციის ქონა.

### III. საგანმანათლებლო პროგრამა და კვალიფიკაცია

საწარმოო ინჟინერიის პროფესიული განათლება არის ხუთსაფეხურიანი და თითოეული დონისთვის შემუშავებულია სათანადო პროფესიული პროგრამა, რომლის დასრულების შემდეგ სტუდენტს ენიჭება შესაბამისი საფეხურის პროფესიული კვალიფიკაცია და გაიცემა პროფესიული დიპლომი.

საწარმოო ინჟინერიის სპეციალისტის პირველი საფეხურის პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა მოიცავს 20 კრედიტს, რომლის 50% ეთმობა სასწავლო კომპონენტს და 50% საწარმოო პრაქტიკას. ენიჭებათ საწარმოო ინჟინერიის სპეციალისტის პირველი საფეხურის (საწარმოო ხაზის ამწყობი) პროფესიული კვალიფიკაცია.

საწარმოო ინჟინერიის სპეციალისტის მეორე საფეხურის პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა მოიცავს 20 კრედიტს, რომლის 50% ეთმობა სასწავლო კომპონენტს და 50% საწარმოო პრაქტიკას. ენიჭებათ საწარმოო ინჟინერიის სპეციალისტის მეორე საფეხურის (საწარმოო ხაზის ოპერატორი) პროფესიული კვალიფიკაცია.

საწარმოო ინჟინერიის სპეციალისტის მესამე საფეხურის პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა მოიცავს 20 კრედიტს, რომლის 50% ეთმობა სასწავლო კომპონენტს და 50% საწარმოო პრაქტიკას. ენიჭებათ საწარმოო ინჟინერიის სპეციალისტის მესამე საფეხურის (საწარმოო საქმიანობის მომსახურე (კლერკი) პროფესიული კვალიფიკაცია.

საწარმოო ინჟინერიის სპეციალისტის მეოთხე საფეხურის პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა მოიცავს 60 კრედიტს, რომლის 60% ეთმობა სასწავლო კომპონენტს და 40% საწარმოო პრაქტიკას. ენიჭებათ საწარმოო ინჟინერიის სპეციალისტის მეოთხე საფეხურის (საწარმოო საქმიანობის მგეგმავი-ხარჯთაღმრიცხველი) პროფესიული კვალიფიკაცია.

საწარმოო ინჟინერიის მეხუთე საფეხურის სპეციალისტის პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა მოიცავს 60 კრედიტს, რომლის 60% ეთმობა სასწავლო კომპონენტს და 40% საწარმოო პრაქტიკას. ენიჭებათ საწარმოო ინჟინერიის სპეციალისტის მეხუთე საფეხურის (საწარმოო საქმიანობის მეთვალყურე (სუპერვაიზერი) პროფესიული კვალიფიკაცია.

**საწარმოო ინჟინერიის სპეციალისტის პირველი საფეხურის კვალიფიკაციის აღმწერი**

<p>ცოდნა და გაცნობიერება</p>	<p>აქვს სფეროს საფუძვლების ზოგადი ცოდნა და აცნობიერებს მარტივი ამოცანების შესასრულებლად აუცილებელ ნაბიჯებს</p>	<p>აქვს ზოგადი წარმოდგენა სამრეწველო სისტემების სტრუქტურებზე, ძირითად ტექნოლოგიურ პროცესებზე, საწარმოო ოპერაციებსა და სამუშაო ნაკადებზე; დაუფლებულია საწარმოო ხაზის ამწყობის პროფესიულ უნარ-ჩვევებს: შეუძლია შესაბამისი ინსტრუმენტის მეშვეობით საამწყობო და გამოსაცდელი ოპერაციების შესრულება, საკუთარი ნახელავის მაჩვენებლების და პარამეტრების გაზომვა მარტივი გამზომი ხელსაწყოებისა და იარაღების გამოყენებით, საამწყობო ხაზზე საკუთარი უსაფრთხო მუშაობის წესების დაცვა და ა.შ.; გააჩნია ელემენტალური წარმოდგენა სამრეწველო პროდუქციის ხარისხის უზრუნველყოფის საკითხებზე და შეუძლია მათი შესრულება საკუთარი კომპეტენციის ფარგლებში.</p>
<p>ცოდნის პრაქტიკაში გამოყენების უნარი</p>	<p>შეუძლია სტრუქტურირებულ გარემოში უშუალო ხელმძღვანელობის ქვეშ შეასრულოს მარტივი და ერთგვაროვანი დავალებები, ძირითადი მასალებისა და ინსტრუმენტების გამოყენებით.</p>	<p>შეუძლია მზა კომპონენტების, დეტალების, კვანძებისა და აგრეგატებისგან საბოლოო ნაკეთობების აწყობა ნებისმიერი სტრუქტურის საწარმოო ნაკადებში: დაკვეთებით, უწყვეტი ნაკადით და სერიული წარმოებისას, ან საამწყობო ხაზების გამოყენებისას.</p>
<p>დასკვნის უნარი</p>	<p>შეუძლია ხელმძღვანელის მითითებების გათვალისწინებით სამუშაო პროცესში გამოვლენილი მარტივი პრობლემების ამოცნობა.</p>	<p>შეუძლია საკუთარ საქმიანობაში და უშუალოდ მის გარემოცვაში არსებული ხარვეზების გამოვლენა, ხარისხიანი და წარმადი მუშაობისთვის ხელის შეშლელი გარემოებების დადგენა, ხელმძღვანელობის ყურადღების მიპყრობა მათდამი და/ან რაციონალიზატორული წინადადებების დამოუკიდებელი შემუშავება.</p>
<p>კომუნიკაციის უნარი</p>	<p>შეუძლია პროფესიასთან დაკავშირებულ მარტივ საკითხებზე ზეპირი და წერილობითი კომუნიკაცია. ფლობს საინფორმაციო და საკომუნიკაციო ტექნოლოგიებს.</p>	<p>შეუძლია მარტივი საამწყობო ნახაზებით და აღწერებით წარმოდგენილი ინფორმაციის ადეკვატური აღქმა და გამოყენება შრომით საქმიანობაში; წერილობითი, ან ზეპირი მოხსენებების მეშვეობით შეუძლია ხელმძღვანელობის ყურადღების მიპყრობა მის მიერ შემჩნეული პრობლემებისადმი.</p>
<p>სწავლის უნარი</p>	<p>შეუძლია სხვისი ხელმძღვანელობით სწავლა.</p>	<p>აცნობიერებს საკუთარი კვალიფიკაციის გაუმჯობესებების აუცილებლობას და მზად არის სათანადო ტრენინგებში მონაწილეობის მეშვეობით სრულყოს იგი.</p>
<p>ღირებულებები</p>	<p>იცნობს პროფესიული საქმიანობისათვის დამახასიათებელ ღირებულებებს.</p>	<p>იზიარებს ხარისხიანი მუშაობის ღირებულებებს, მზად არის საკუთარ თავს და მომიჯნავე ოპერაციების შემსრულებლებს წაუყენოს სათანადო მოთხოვნები.</p>

საწარმო ინჟინერიის სპეციალისტის მეორე საფეხურის კვალიფიკაციის აღმწერი

<p>ცოდნა და გაცნობიერება</p>	<p>აქვს სფეროს ფაქტობრივ გარემოებებზე დამყარებული ზოგადი ცოდნა და აცნობიერებს ძირითადი ამოცანების შესასრულებლად აუცილებელ ნაბიჯებს.</p>	<p>იცნობს საწარმოო ხაზების მუშაობის ორგანიზების ზოგად პრინციპებს; გააჩნია ელემენტალური წარმოდგენა შემსრულებელთა ბაზურ გუნდებში (ბრიგადებში) სამუშაოს განაწილებისა და შესრულების კონტროლის საკითხებზე; საკუთარი კომპეტენციის ფარგლებში შეუძლია საამწყო ხაზზე მომუშავეთა უსაფრთხო მუშაობის ორგანიზება; დაუფლებულია ტესტირებისა და სათანადო გაზომვების მეშვეობით საამწყო პროცესის მიმდინარეობის შეფასების პრაქტიკულ მეთოდებს; შეუძლია საამწყო პროცესის დაბალანსებისა და კორექტირებისთვის საჭირო მარტივი გამოთვლების ჩატარება; აქვს საკმარისი წარმოდგენა ნაწარმის ხარისხის უზრუნველყოფის იმ კომპონენტებზე, რომლებიც აწყოების პროცესს უკავშირდება.</p>
<p>ცოდნის პრაქტიკაში გამოყენების უნარი</p>	<p>შეუძლია, სტაბილურ გარემოში გარკვეული დამოუკიდებლობით შეასრულოს წინასწარ განსაზღვრული დავალებები, ძირითადი მეთოდების, ინსტრუმენტებისა და მასალების გამოყენებით.</p>	<p>შეუძლია საწარმოო ხაზის მუშაობის დისპეტჩერება, ამწყობთა ბრიგადების პირველადი რგოლების საქმიანობის ორგანიზება, სტანდარტული ხელსაწყოების მეშვეობით საწარმოო ხაზის მუშაობის მაჩვენებლების კონტროლირება; შეუძლია დაუსრულებელი წარმოების და საბოლოო პროდუქციის ხარისხის შეფასება, ნორმატიული მეთოდოლოგიით მისი ტესტირების საფუძველზე.</p>
<p>დასკვნის უნარი</p>	<p>შეუძლია პრობლემის გადასაჭრელად გამოიყენოს</p>	<p>საწარმოო ხაზის მუშაობის მაჩვენებლების ანალიზის საფუძველზე შეუძლია სხვადასხვა ხასიათის გადახრების გამოვლენა, გამოსასწორებელი ღონისძიებების</p>
	<p>მიწოდებული ინფორმაცია და ავლენს შესაბამისი სამუშაოს შესასრულებლად აუცილებელი დასკვნის გარკვეული დამოუკიდებლობით გაკეთების უნარს.</p>	<p>დასახვა და გატარება; სათანადო ტესტირების შედეგების მიხედვით და შესაბამისი ინსტრუქციების გამოყენებით, შეუძლია პროცესების და ნაწარმის ხარისხის მაკორექტირებელი ღონისძიებების გატარება მისდამი დაქვემდებარებულ ამწყობთა პირველად რგოლებში; ფორსმაჟორულ ვითარებაში შეუძლია საამწყო ხაზის მუშაობის ხანმოკლე შეჩერება.</p>
<p>კომუნიკაციის უნარი</p>	<p>პროფესიასთან დაკავშირებულ მარტივ საკითხებზე დეტალური ზეპირი და წერილობითი კომუნიკაცია. იყენებს საინფორმაციო და საკომუნიკაციო ტექნოლოგიებს პროფესიული თვალსაზრისით. შეუძლია ელემენტარული დონის კომუნიკაცია უცხოურ ენაზე პროფესიასთან დაკავშირებულ საკითხებზე.</p>	<p>შეუძლია ამომწურავად აუხსნას ხაზზე მომუშავეებს მათი ამოცანები, გაერკვეს მათ პრობლემებში; ფლობს საწარმოო ხაზის გამართული მუშაობის უზრუნველყოფელ ინფორმაციულ და გამზომ ტექნოლოგიებს.</p>

სწავლის უნარი	შეუძლია სხვისი ხელმძღვანელობით სწავლა დამოუკიდებლობის გარკვეული ხარისხით.	შეუძლია საკუთარი კვალიფიკაციის სრულყოფა როგორც სათანადო შრომითი უნარ-ჩვევების გამომმუშავებელ ტრენინგებზე, ასევე სწავლების ისეთ ფორმებში მონაწილეობითაც, რომელიც შეზღუდული ინფორმაციის დამოუკიდებლად მოპოვებას ითხოვს.
ღირებულებები	გათავისებული აქვს პროფესიული საქმიანობისთვის დამახასიათებელი ღირებულებები და მოქმედებს მათ შესაბამისად.	გათავისებული აქვს საკუთარი პასუხისმგებლობა საწარმოო ხაზის ხარისხიან მუშაობასა და მომუშავეთა შრომის უსაფრთხოებაზე.

**საწარმოო ინჟინერიის სპეციალისტის მესამე საფეხურის კვალიფიკაციის აღმწერი**

ცოდნა და გაცნობიერება	აქვს სფეროსათვის დამახასიათებელი ძირითადი ფაქტების, პრინციპების, პროცესებისა და ზოგადი კონცეფციების ცოდნა, აცნობიერებს გართულებული ამოცანების შესასრულებლად აუცილებელ ნაბიჯებს;	აქვს ადეკვატური წარმოდგენა წარმოების დაგეგმვის ფუნდამენტურ პრინციპებზე, ფლობს სათანადო ინფორმაციის მოპოვების და მონაცემების დამუშავების მეთოდოლოგიებს, აქვს პრაქტიკული საქმიანობისთვის საკმარისი წარმოდგენა შესყიდვების, მარაგების შექმნის და მართვის პროცესებზე.
ცოდნის პრაქტიკაში გამოყენების უნარი	შეუძლია გამოიყენოს სფეროს სპეციფიკისათვის დამახასიათებელი უნარების ფართო სპექტრი, შეაფასოს დავალებების შესასრულებლად სხვადასხვა მიდგომა, შეარჩიოს და მიუსადაგოს სათანადო მეთოდები, ინსტრუმენტები და მასალები.	აღწერს მასალებისა და ტრანსპორტის მოძრაობას, აღრიცხავს წარმოებულ და შეძენილ ნაწარმს და რესურსებს, გადატვირთულ და დასაწყობებულ საქონელს, უზრუნველყოფს მასალების მიწოდების ტემპის შესაბამისობას წარმოების გრაფიკთან; უწევს წარმოების ხელმძღვანელებს ტექნიკურ მომსახურებას საწარმოო პროცესების დაგეგმვისა და მიმდინარეობის კონტროლის ორგანიზებისას; ასრულებს პროცესების და ნაწარმის ხარისხის უზრუნველყოფელ ტექნიკურ სამუშაოებს.
დასკვნის უნარი	შეუძლია განსხვავებულ სიტუაციებში წამოქმნილი პრობლემების გადასაჭრელად ინფორმაციის ცნობილი წყაროებით სარგებლობა, მათი შეფასება და ანალიზი.	ნაწარმის, მასალების და სხვა რესურსების არსებული მარაგების შემოწმების საფუძველზე, შეუძლია მათი მიწოდების შეფერხებების გამოვლენა და სათანადო მიზეზების დადგენა; მიღებული მაკომპლექტებლების და მასალების, წარმოებული და მომხმარებლისთვის გადასატვირთად გამზადებული პროდუქციის მახასიათებლების ტესტირების საფუძველზე შეუძლიათ მათი ხარისხიანობის ანალიზი; ავეჯისა და სხვა საოფისე აღჭურვილობის ინვენტარიზაციით ავლენს მათ დანაკლისს; საქონლის, მასალების და სხვა რესურსების შეძენაზე განაცხადების დამუშავების საფუძველზე, ადგენს სათანადო სპეციფიკაციებს; საწარმოო პროცესების მიმდინარეობის სანორმატივო მოთხოვნებთან შედარებით ადგენს გადახრების გამომწვევ მიზეზებს.

კომუნიკაციის უნარი	შეუძლია ზეპირი და წერილობითი კომუნიკაცია პროფესიასთან დაკავშირებულ საკითხებზე განსხვავებულ სიტუაციებში, ეფექტიანად იყენებს პროფესიულ საქმიანობასთან დაკავშირებულ საინფორმაციო და საკომუნიკაციო ტექნოლოგიებს, შეუძლია უცხო ენის პრაქტიკული გამოყენება.	შეუძლია საკუთარი საქმიანობის ამსახველი ანგარიშების შედგენა და მათი წარდგენა ზეპირ გამოსვლებში სათანადო აუდიტორიის წინაშე; ინფორმაციის შეგროვებისას რესპოდენტების ინტერვიუების მეშვეობით, ადექვატურად წარმოუდგენს მათ საკუთარ მიზნებს და დასმული შეკითხვების შინაარსს; ფლობს ამ ინფორმაციის დამუშავების კომპიუტერულ მეთოდებს.
სწავლის უნარი	შეუძლია წინასწარ განსაზღვრული ამოცანების ფარგლებში საკუთარ სწავლაზე პასუხისმგებლობის აღება.	შეუძლია საკუთარი კვალიფიკაციის სრულყოფისთვის საჭირო ცოდნის ელემენტების: დაგეგმვის და მონაცემების დამუშავების ახალი მეთოდების, შესყიდვების ახალი წყაროების და ა.შ., დამოუკიდებელი გამოვლენა და დაუფლება.
ღირებულებები	განსხვავებულ სიტუაციებში მოქმედებს პროფესიული საქმიანობისათვის დამახასიათებელი ღირებულებების შესაბამისად.	გათავისებული აქვს ეფექტიანი დაგეგმვის, მომარაგების და მარაგების მართვის მნიშვნელობა საწარმოს რიტმული და წარმადი მუშაობისთვის; არატიპიურ ვითარებებში, რომლებიც არ მოიხსენიება მისთვის ცნობილ ინსტრუქციებში, მზად არის აიღოს პასუხისმგებლობა საკუთარ გადაწყვეტილებებზე.

**საწარმოო ინჟინერიის სპეციალისტის მეოთხე საფეხურის კვალიფიკაციის აღმწერი**

ცოდნა და გაცნობიერება	აქვს სფეროს ფაქტობრივ გარემოებებსა და თეორიულ საფუძვლებზე დამყარებული ცოდნა, აცნობიერებს პრობლემების გადაჭრის ზოგად შესაძლებლობებს.	იცნობს ოპერაციათა და პროექტების შესრულების მართვის თეორიულ საფუძვლებს; ფლობს საწარმოო და სერვისულ ოპერაციათა დაგეგმვის, მიმდინარეობის, ნორმირების და მონიტორინგის პრაქტიკულ მეთოდოლოგიას; აცნობიერებს დაგეგმვის და ნორმირების როლს საპროექტო და ოპერაციული საქმიანობის ეფექტიანობის ამაღლებაში.
ცოდნის პრაქტიკაში	შეუძლია, სამუშაოს დაგეგმვისა და შესრულების პროცესში გამოიყენოს სანდო ინფორმაციის	სათანადო წყაროებიდან (ნორმები და სტანდარტები, ქრონომეტრაჟის შედეგები, კითხვარები და სხვა მსგავსი), ანალიზის საფუძველზე ავლენს საწარმოო გეგმების
გამოყენების უნარი	წყაროები, შეიმუშავოს სტრატეგია წამოჭრილი სპეციფიკური ამოცანის დასაძლევად და შეაფასოს მიღებული შედეგები შესრულებული სამუშაოს გაუმჯობესების მიზნით.	შედგენისთვის საჭირო ინფორმაციას; ადგენს წარმოების დაგეგმილი მოცულობის, დანახარჯების ოდენობის და შესრულების დროის შესაბამის ნორმატიულ ბაზას; ამზადებს მონაცემებს სატენდერო განაცხადებისა და შესყიდვა-მიწოდების კონტრაქტებისთვის; პროექტების მომზადებისას, აგროვებს და აანალიზებს მოთხოვნებს მასალებზე, შრომაზე, მანქანა-დანადგარებსა და სპეციალურ აღჭურვილობაზე, საწარმოო სიმძლავრეებზე; ადგენს პროექტის რეალიზების გრაფიკს, მონაწილეობს მისი შესრულების მონიტორინგში.

დასკვნის უნარი	შეუძლია სპეციფიკური პრობლემების გადასაწყვეტად შესაბამისი მიდგომის შემუშავება, ალტერნატიული შესაძლებლობების განხილვა და მიღებული შედეგის ანალიზი.	შეუძლია საპროექტო და ოპერაციული საქმიანობის ამსახველი საანგარიშგებო დოკუმენტების შედგენა და მათი ანალიზი, დასაწყობებული მასალების, მაკომპლექტებლების და პროდუქციის მიღება-გაცემის ჩანაწერების წარმოება და მარაგებში მათი დაუშვებელი ნაკლებობის გამოვლენა; შეუძლია მიმწოდებლების და მომხმარებლების კომერციული წინადადებების ურთიერთშედარება ფასის, ხარისხის, მიწოდების საიმედოობის და სხვა მსგავსი მაჩასიათებლების მიხედვით.
კომუნიკაციის უნარი	შეუძლია ზეპირი და წერილობითი კომუნიკაცია პროფესიასთან დაკავშირებულ საკითხებზე ცვალებად სიტუაციებში, ახალი საინფორმაციო და საკომუნიკაციო ტექნოლოგიების დამოუკიდებლად ათვისება, უცხოურ ენაზე მიღებული პროფესიასთან დაკავშირებული ინფორმაციის დამუშავება.	შეუძლია ზეპირი და წერილობით კომუნიკაცია ადმინისტრაციული კოორდინირების პროცესებში; სათანადო მოლაპარაკებების წარმოება რესურსების მიმწოდებლებსა და პროდუქციის მომხმარებლებთან, პროექტების და ოპერაციების შემსრულებლებთან, მენეჯერებთან; ასრულებს ოპერატორის ფუნქციას საპროექტო და ოპერაციული საქმიანობის დაგეგმვის და მიმდინარეობის კონტროლისთვის განკუთვნილ კომპიუტერული პროგრამული სისტემებით სარგებლობისას; სათანადო პროგრამული პაკეტების მეშვეობით ამზადებს ინფორმაციას გრაფიკული და ცხრილური სახით წარმოდგენისთვის, დამოუკიდებლად ითვისებს ახალ პროგრამულ საშუალებებს; კითხულობს ინგლისურ ენაზე შედგენილ ნორმატიულ და საცნობარო ლიტერატურას; შეუძლია პროფესიული ინფორმაციის დამოუკიდებელი მოძიება ინტერნეტის მეშვეობით.
სწავლის უნარი	შეუძლია საკუთარი სწავლის მიმართულებების დამოუკიდებლად განსაზღვრა განჭვრეტად, თუმცა ნაწილობრივ ცვალებად, ვითარებაში.	შეუძლია საკუთარი კომპეტენციის ხარვეზების ობიექტური შეფასება და შემდგომი სწავლის დაგეგმვა მათი აღმოფხვრისთვის; იცნობს წამყვანი პროფესიული ორგანიზაციების და სწავლების სხვა მიმწოდებლების საგანმანათლებლო შესაძლებლობებს, დისტანციური სწავლების ჩათვლით, რომელთა პროგრამებიც ხელს შეუწყობს მის პროფესიულ ზრდას.
ღირებულებები	პასუხისმგებლობით ეკიდება პროფესიული საქმიანობისათვის დამახასიათებელ ღირებულებებს და ცვალებად სიტუაციებში მოქმედებს მათ შესაბამისად.	აცნობიერებს საკუთარ პასუხისმგებლობას საწარმოო და სერვისულ ოპერაციათა დაგეგმვის, ნორმირების და მონიტორინგის ეფექტიანობაზე; ესმის საკუთარი როლი ნაწარმის, ან სერვისის ხარისხის მიმართ მომხმარებელთა ცვალებადი მოთხოვნების დაკმაყოფილებაში.

**საწარმოო ინჟინერიის სპეციალისტის მეხუთე საფეხურის კვალიფიკაციის აღწერი**

<p>ცოდნა და გაცნობიერება</p>	<p>აქვს პროფესიულ საქმიანობასთან დაკავშირებული მრავალმხრივი და/ან სპეციალიზებული თეორიული და პრაქტიკული ცოდნა, აცნობიერებს პროფესიული საქმიანობის შესაძლებლობებს (საზღვრებს).</p>	<p>იცნობს პროექტების და ოპერაციათა შესრულების მართვის საფუძვლად აღებულ კონცეფციებს, საპროექტო და ოპერაციული საქმიანობის ეფექტიანობის ამაღლების მეთოდებს, ნაწარმის ხარისხის უზრუნველყოფის და სამრეწველო მარაგების მართვის სისტემებს; აქვს ადექვეტური წარმოდგენა სამრეწველო ნაწარმის და ტექნოლოგიური პროცესების პროექტირების მეთოდებზე, წარმოების რესურსებით მომარაგების სქემებზე, სამრეწველო პროექტების დაგეგმვის და საპროექტო რისკების შეფასების მეთოდებზე; აცნობიერებს საკუთარი პროფესიული კომპეტენციის შეზღუდულობას ისეთ ამოცანებთან მიმართებაში, რომელთა მაგალითია მიწოდების გლობალურ ქსელებში ჩართვა.</p>
<p>ცოდნის პრაქტიკაში გამოყენების უნარი</p>	<p>შეუძლია შემეცნებითი და პრაქტიკული უნარების ფართო სპექტრის გამოყენება აბსტრაქტული პრობლემების შემოქმედებითად გადასაწყვეტად.</p>	<p>შეუძლია კომპანიების კონკურენტუნარიანობის მიღწევასა და შენარჩუნებაში მნიშვნელოვანი როლის შესრულება საწარმოო დანახარჯების და მარაგების სათანადო კონტროლის მეშვეობით, პერსონალის მუშაობის რაციონალური ორგანიზებით, სამუშაო პროექტების გეგმების და საწარმოო გრაფიკების ოპტიმალური შედგენით და შესრულების ქმედითი მონიტორინგით, საწარმოო პროცესების და ნაწარმის მაღალი ხარისხის მიღწევის და შენარჩუნების ღონისძიებების გატარებით; პროექტების დაგეგმვის და შესრულების გაუმჯობესებისთვის, შეუძლია კრიტიკული გზის განსაზღვრის, მოწოდების ჯაჭვის ანალიზის და სხვა მსგავსი მეთოდებით სარგებლობა.</p>
<p>დასკვნის უნარი</p>	<p>შეუძლია კარგად განსაზღვრული პრობლემების ამოცნობა, მათი გადაჭრისათვის სათანადო მონაცემების იდენტიფიცირება და ანალიზი სტანდარტული მეთოდების გამოყენებით, ასევე დასაბუთებული დასკვნების გაკეთება.</p>	<p>საერთო-საწარმოო გეგმის მიხედვით, შეუძლია საპროექტო და ოპერაციული საქმიანობის ადექვეტური დაგეგმვა; საანგარიშგებო დოკუმენტების, წლიური ანგარიშების, ოპერაციათა აღწერის და მწარმოებლობის ექსპერტული შეფასებების მიხედვით, შეუძლია სათანადო ანალიზის ჩატარება და დასკვნების გამოტანა საკუთარი კომპანიის საპროექტო და ოპერაციული საქმიანობის სუსტ და ძლიერ მხარეებზე; შეუძლია პროექტების შესრულების შემაფერხებელი გარემოებების გამოვლენა, შესაბამისი ღონისძიებების შემუშავება და გატარება მათ აღმოსაფხვრელად.</p>
<p>კომუნიკაციის უნარი</p>	<p>შეუძლია იდეებისა და ინფორმაციის სტრუქტურირებულად და თანმიმდევრულად გადაცემა სპეციალისტებისა და არასპეციალისტებისათვის ხარისხობრივი და რაოდენობრივი ინფორმაციის გამოყენებით. იყენებს თანამედროვე საინფორმაციო და საკომუნიკაციო</p>	<p>შეუძლია საპროექტო და ოპერაციული საქმიანობის ეფექტიანობის ანალიზის რაოდენობრივი და თვისებრივი შედეგების ასახვა სათანადო ანგარიშებში, მათი წერილობითი და ზეპირი წარდგენა პროფესიული საზოგადოების წინაშე, როგორც მშობლიურ, ისე ინგლისურ ენაზე; არის საპროექტო და ოპერაციული საქმიანობის დაგეგმვისა და მიმდინარეობის კონტროლისთვის განკუთვნილი კომპიუტერული პროგრამული სისტემების კვალიფიცირებული მომხმარებელი, შეუძლია სათანადო მონაცემთა ბაზების ინფორმაციით შევსება და გამოყენება საქმიანობის ანალიზისას.</p>



	<p>ტექნოლოგიებს. შეუძლია უცხოურ ენაზე პროფესიასთან დაკავშირებული ინფორმაციის გადაცემა და ანგარიშის წარდგენა.</p>	<p>შეუძლია საპროექტო და ოპერაციულ საქმიანობისთვის ახლადმიღებული პერსონალის სამუშაო ინსტრუქტირება და ტრენინგების ჩატარება პროფესიული უნარ-ჩვევების შემდგომი განვითარების მიზნით.</p>
სწავლის უნარი	<p>შეუძლია საკუთარი სწავლის მიმართულებების განსაზღვრა ცვალებად და გაუთვალისწინებელ ვითარებაში.</p>	<p>აცნობიერებს საკუთარი კვალიფიკაციის მუდმივი სრულყოფის აუცილებლობას, აქტიურად ეძებს და იყენებს სათანადო შესაძლებლობებს; შეუძლია მისთვის სასარგებლო ინფორმაციის დამოუკიდებელი გამოყოფა საპროექტო და ოპერაციული საქმიანობის პრაქტიკული მაგალითების (კეისების) აღწერიდან, და სხვების გამოცდილების ასახვა საკუთარ პრაქტიკაში; გააჩნია მზაობა და საჭირო საბაზისო მომზადება, რათა საჭიროების შემთხვევაში დამოუკიდებლად გაიღრმავოს ცოდნა ახალი მიმართულებებით.</p>
ღირებულებები	<p>აფასებს თავისი და სხვების დამოკიდებულებას პროფესიული საქმიანობისათვის დამახასიათებელ ღირებულებებთან და უზიარებს სხვებს.</p>	<p>აცნობიერებს პროექტების შესრულების და საწარმოო ოპერაციების რაციონალური მართვის ორგანიზების მნიშვნელობას საზოგადოებისთვის და ინაწილებს სათანადო პასუხისმგებლობას; ზრუნავს ოპერაციული პერსონალის შრომის უსაფრთხოებაზე, უქმნის მათ პირობებს კვალიფიკაციისა და პროფესიონალიზმის სრულყოფისათვის.</p>